თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ს ი ლ ა ბ უ ს ი

**ფაკულტეტი:** პედაგოგიური

**სალექციო კურსის დასახელება და მისი კოდი: აკადემიური წერა** P.2P. 28
**კრედიტების რაოდენობა:** 5 კრედიტი (125 საათი)

**სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო მაგისტრატურის სტუდენტებისათვის

**ასოცირებული პროფესორი:** ნინო კახაშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. ტელ.: 8(93)34.33.26; 8(250)7.28.71
ninokakhashvili@yahoo.com

**სალექციო კურსის აღწერა** – კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან აკადემიური წერის ტექნიკას და სამეცნიერო ნაშრომების შექმნის პრინციპებს. სალექციო კურსი შემოიფარგლება იმ წესების სწავლებით, თუ როგორ დაწერონ სტუდენტებმა ანალიტიკური რეფერატი, საბიბლიოთეკო, ექსპერიმენტული და სამაგისტრო ნაშრომები.

კურსი პრაქტიკული ხასიათისაა, რაც გულისხმობს სტუდენტების ინტენსიურ ჩართვას ლექციებსა და სემინარებში: სტუდენტების მიერ ყოველკვირეული საშინაო დავალებების მომზადებას და მათ განხილვას. სწავლა წარიმართება ინტერაქტიული მეთოდით. სემინარები, პრეზენტაციები, დისკუსიები, დებატები, ტექსტის ანალიზი, მუშაობა მცირე ჯგუფებში, თვითშეფასება, სხვათა ნაშრომების შეფასება და სხვ. სტუდენტებს მეტ მოტივაციას შეუქმნის ამ საგნის უკეთ დაუფლებაში.

კურსის ხანგრძლივობა ერთი აკადემიური სემესტრია (15 კვირა). კვირაში ჩატარდება 3 ლექცია. (45 საათი სააუდიტორიო, 205 საათი –დამოუკიდებელი მუშაობისათვის).

**<u>სალექციო კურსის მიზანია</u>** ხელი შეუწყოს მაგისტრანტებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ანალიზისა და შეფასების გამომუშავების უნარს და მისი წერილობით გადმოცემას; საკვლევი პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებას; ლიტერატურის გამოყენებას და ა.შ.

**<u>სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა</u>** არ აქვს.

**<u>სალექციო კურსის შედეგი</u>**: კურსის შედეგად მაგისტრები შეისწავლიან ანალიტიკური რეფერატის, საბიბლიოთეკო და ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომების და სამაგისტრო ნაშრომების შექმნის ტექნიკას. სტუდენტებს შეეძლებათ წერითი ნამუშევრები წარმოადგინონ საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვირებული აკადემიური წერის პრინციპების მიხედვით.

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ეცოდინებათ ბუნებისმეტყველების საფუძვლები | ეცოდინებათ ყველა ის საკითხი, რომელიც მოცემულია სასწავლო კურსის შინაარსში, შეეძლებათ მეცნიერული ტერმინოლოგიით მეტყველება. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | განუვითარდებათ ანალიზის და სინთეზის უნარი, შემოქმედებითი ძიების უნარი, მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი | ექნებათ მარტივი კვლევების ჩატარების უნარ-ჩვევები გარემოზე, როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების პირობებში. |
| კომუნიკაციის უნარი | ექნებათ მოსწავლეებთან კომუნიკაციის უნარი | შეეძლებათ მოსწავლეებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია |
| სწავლის უნარი | მუდმივად იქნებიან ახლის ძიებაში | შეეძლებათ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ინტერნეტში საჭირო მასალების მოძიება და დამუშავება, მოვლენების არსის განსაზღვრა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენა |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები და პრეზენტაცია

**<u>ძირითადი ლიტერატურა:</u>**


1. წულაძე, ლ. (2006). *აკადემიური წერა*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
2. გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. (2007). სალექციო მასალები. *აკადემიური წერა*. 15.03.07 http://www.humanities.tsu.ge
3. გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. (2007). *აკადემიური წერა*. თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“.


**<u>რეკომენდებული ლიტერატურა:</u>**

1. გუთბროდი, ჰ. (2004). *მეგზური წარმატებული ურთიერთობისათვის.* თბილისი: სანი.
2. ჰარბორდი. ჯ. (2003). *აკადემიური წერის სწავლება.* მასწავლებლების ტრენინგის სემინარი. ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი.
3. არაბული, ავთ. (2004). *ქართული მეტყველების კულტურა.* თბილისი: დიოგენე.
4. ბაქრაძე, ა. (1990). მწერლობის *მოთვინიერება.* თბილისი: სარანგი.

ვებ. გვერდები:

5. *http://www.criticalreading/sfaccess.html*
6. http://writing.richmond.edu/writing/

**სტუდენტთა შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

შეფასების 100% – იანი სისტემის პარამეტრებია :

შუალედური შეფასება – მაქსიმალური 60%

მათ შორის: *2 წერითი სამუშაო* – 30% (15% x 2).

პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.

*4 ჯგუფური მეცადინეობა* – 20% (5% x 4).

ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში სემინარებზე მონაწილეობით.

*1 ზეპირი პრეზენტაცია* – 10%,

რომელზედაც სტუდენტს საშუალება ეძლევა

ზეპირსიტყვიერად წარმოაჩინოს თავისი პროფესიული ცოდნა და უნარები ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას. პრეზენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა თვითოეული სტუდენტისათვის და ჩატარების განრიგი თემატიკის გათვალისწინებით და სტუდენტთან შეთანხმებით გაწერილ იქნება სემესტრის დასაწყისში დაახლოვებით მეორე, მესამე ლექციის შემდეგ. რეზენტაციის შეფასება მოხდება ცხრილში მოცემული შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

| პრეზენტაციის შეფასების პარამეტრები | მაქსიმალური ქულა |
|---|---|
| შინაარსის ლოგიკურობა | 3 ქულა |
| თემის გასაგებად წარმოდგენა | 3 ქულა |
| თემის სრულად წარმოდგენა | 2 ქულა |
| ვიზუალური საშუალებების გამოყენება | 2 ქულა |

| | |
|---|---|
| სულ: | 10 ქულა |

- შეგახსენებთ, რომ ფინალურ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელმაც შუალედურ შეფასებაზე მოაგროვა მინიმუმ 11 ქულა და ამით ფინალური გამოცდისათვის დაწესებულ ქულათა მაქსისუმის მიღების შემთხვევაში მიეცა შანსი დააგროვოს კრედიტის მინიჭებისათვის აუცილებელი მინიმალური 51 ქულა, ე.ი. (11ქ + 40ქ =51ქ).
- გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, რომლის ხანგრძლივობა 2 აკადემიური საათია. საგამოცდო დავალება მოიცავს 10 საკითხს აქედან და თვითეული საკითხი ფასდება მაქსიმალური 4 ქულით.
- იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა სემესტრის მანძილზე შუალედური შეფასებებით დააგროვა კრედიტის მინიჭებისათვის საჭირო ქულათა რაოდენობის მინიმუმი (51 ქულა), იგი თავისუფლდება ფინალურ გამოცდაზე გასვლის ვალდებულებისაგან, თუმცა სტუდენტს შეუძლია გავიდეს საბოლოო გამოცდაზე და შუალედურ შეფასებას დაამატოს გამოცდის ქულა.

<u>სალექციო კურსის სტრუქტურა:</u>

**I კვირა.**

<u>აკადემიური წერის ჟანრები (მოკლე მიმოხილვა).</u>

**ძირითადი საკითხები:**

- სალექციო კურსის სილაბუსის გაცნობა;
- აკადემიური წერის, როგორც სავალდებულო დისციპლინის სწავლების მნიშვნელობა მაგისტრატურაში;

**სავალდებულო ლიტერატურა:**

წულაძე, ლ. (2006). გვ. 4-7.

**რეკომენდებული ლიტერატურა:**

ჰარბორდი. ჯ. (2003). გვ. 3-5.

**II კვირა**<u>. სამეცნიერო ტექსტის აგების ძირითადი პრინციპები და მისი მომზადება</u>

**ძირითადი საკითხები:**

- სამეცნიერო ნაშრომი;
- სამეცნიერო აპარატი;
- პრაქტიკული სავარჯიშოები.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

წულაძე, ლ. (2006). გვ. 33-34; 38-40.

გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. (2007). *აკადემიური წერა.* თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“. გვ. 116-126

III კვირა. <u>სამეცნიერო ტექსტის აგების ძირითადი პრინციპები და მისი მომზადება</u>

**ძირითადი საკითხები:**

- რეფერატი;
- თეზისები, ანოტაცია, რეზიუმე;
- პრაქტიკული სავარჯიშო.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

წულაძე, ლ. (2006). გვ. 33-34; 36-37.

გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. (2007). *აკადემიური წერა.* თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“. გვ. 126-138

IV კვირა. <u>ანალიტიკური რეფერატის სტრუქტურა და შემადგენელი ელემენტები.</u>

**ძირითადი საკითხები:**

- ანალიტიკური რეფერატის შესავალი;
- ავტორთა პოზიციების ანალიზი და შეფასება;

**სავალდებულო ლიტერატურა:**

წულაძე, ლ. (2006). გვ. 44-49

გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. http://www.humanities.tsu.ge ლექციის მასალები № 11

V კვირა. <u>ანალიტიკური რეფერატი (გაგრძელება)</u>

**ძირითადი საკითხები:**

- შეხედულებების განმტკიცება;
- კონტექსტუალიზაცია.
- პრაქტიკული სავარჯიშო.
- შუალედური წერითი გამოკითხვა

**სავალდებულო ლიტერატურა:**

წულაძე, ლ. (2006). გვ. 44-49.

გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. http://www.humanities.tsu.ge

ლექციის მასალები №11

VI კვირა. <u>ანალიტიკური რეფერატი (გაგრძელება).</u>

ძირითადი საკითხები:

- ძირითადი ნაწილი;
- დასკვნა;
- საშინაო დავალების წარდგენა

სავალდებულო ლიტერატურა:

წულაძე, ლ. (2006). გვ. 49-54.

VII კვირა. <u>ანალიტიკური რეფერატის შეფასების კრიტერიუმების გაცნობა</u>.

ძირითადი საკითხები:

- ანალიტიკური რეფერატის საბოლოო ვერსიების შექმნა;
- განხილვა და შეფასება;
- შუალედური წერა.

სავალდებულო ლიტერატურა:

წულაძე, ლ. (2006). გვ. 49-54.

VIII კვირა <u>კვლევითი ნაშრომი</u>

ძირითადი საკითხები:

- ზოგადი მიმოხილვა;
- კვლევითი ნაშრომის ძირითადი მახასიათებლები.

სავალდებულო ლიტერატურა:

წულაძე, ლ. (2006). გვ. 55-57

IX კვირა. <u>საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომი</u>

ძირითადი საკითხები:

- საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომის შექმნის საფეხურები;
- საკვლევი პრობლემის დასმა.

სავალდებულო ლიტერატურა:

წულაძე, ლ. (2006). გვ. 56-57

X კვირა. <u>საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომი</u>

**ძირითადი საკითხები:**

- წყაროების მოძიება და მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება;
- ნაშრომის გეგმის შექმნა;
- შუალედური წერითი გამოკითხვა.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

წულაძე, ლ. (2006). გვ. 57-58

XI კვირა. <u>საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომი</u>

**ძირითადი საკითხები:**

- საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომის ძირითადი ნაწილისა და დასკვნა;
- საბოლოო ვერსიაზე მუშაობა.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

წულაძე, ლ. (2006). გვ. 58-60

XII კვირა. <u>ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომი</u>

**ძირითადი საკითხები:**

- ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომის ზოგადი დახასიათება;
- ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა;
- საშინაო დავალების წარდგენა.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

წულაძე, ლ. (2006). გვ. 60-63

XIII კვირა. <u>სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის შექმნის პრინციპები</u>

- სამაგისტრო ნაშრომის შექმნა;
- სადოქტორო ნაშრომის შექმნა;
- რეცენზია.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

წულაძე, ლ. (2006). გვ. 60-63

გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. (2007). *აკადემიური წერა.* თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“. გვ. 138-147

XIV კვირა. <u>მონოგრაფია</u>

**ძირითადი საკითხები:**

- მონოგრაფიის სტრუქტურა;
- ანოტაცია;
- წინასიტყვაობა;
- ბოლოსიტყვაობა.;
- პრაქტიკული სავარჯიშოები.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. (2007). *აკადემიური წერა.* თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“. გვ. 147

XV კვირა. <u>მონოგრაფია</u>

**ძირითადი საკითხები:**

- სხვადასხვა ტიპის საძიებელი;
- შინაარსი (სარჩევი);
- ბიბლიოგრაფია;
- შუალედური წერითი გამოკითხვა.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. (2007). *აკადემიური წერა.* თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“. გვ. 151

# წარმატებას გისურვებთ!